საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 254/10

30 აპრილი, 2019 წელი

**საქართველოს კანონის პროექტები: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ", „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ", „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"**
**(N07-2/290, 13.12.2018)**

*დასახელება*

საქართველოს მთავრობა

*ინიციატორი*

საქ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

*ავტორი*

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

*წამყვანი კომიტეტი*

13. 12. 2018.

*შემოსვლის თარიღი*

წამყვან კომიტეტზე- 07.05- 28.05.
სხვა კომიტეტებზე - 24.04 - 15.05

*საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი*

30.04. - 31.05.

*პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი;
რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი;
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

*კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა*

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე

საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს
# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№254/10

2019 წელი, 30 აპრილი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-2/290, 13.12.2018) საქართველოს კანონის პროექტების I მოსმენით განხილვის ვადა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს კანონპროექტებს, 2019 წლის 24 აპრილიდან შესაბამისად გაუგრძელდეთ სამი კვირით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე

საქართველოს პარლამენტი

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

**2-7386/19**
**22-04-2019**

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მომართვის საფუძველზე გთხოვთ, კანონის პროექტის განხილვისათვის დადგენილი ვადის 3 კვირით გაგრძელებას საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტებზე: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ„ (07-2/290; 13.12.2018).

დანართი: 1ფ.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
კახაბერ კუჭავა

საქართველოს პარლამენტი

# იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

**2-7358/19**
**22-04-2019**

საქართველოს პარლამენტის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ კახაბერ კუჭავას

ბატონო კახაბერ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია კანონპროექტები: „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“, „თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-2/290; 13.12.2018).

წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტზე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი არის სავალდებულო კომიტეტი, ხოლო განხილვის ვადად განსაზღვრულია 2019 წლის 24 აპრილი.

ვინაიდან მომხსენებლის მიერ ვერ ხერხდება კომიტეტის სხდომაზე პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულ ვადაში კანონპროექტის წარმოდგენა, გთხოვთ, მიმართოთ პარლამენტის ბიუროს სავალდებულო კომიტეტისთვის კანონპროექტის განხილვის ვადის 3 კვირით გაგრძელების თაობაზე.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge